სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

23 ოქტომბერი 2025 ქ. თბილისი

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 164

2025 წლის ქართველოლოგიის კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი საგრანტო განაცხადების მოხსნის შესახებ

„ქართველოლოგიის კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 27 სექტემბრის N153/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის, „2025 წლის ქართველოლოგიის კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2025 წლის 1 სექტემბრის N130 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პროგრამა და პირობების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 22 ოქტომბრის სამსახურებრივი ბარათის (N1390454) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. 2025 წლის ქართველოლოგიის კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, მოიხსნას საგრანტო განაცხადები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვერგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

თეიმურაზ დოჭვირი თ. დოჭვირი

<u>დანართი</u>

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2025 წლის 23 ოქტომბრის №164 ბრძანებით

2025 წლის ქართველოლოგიის კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსიდან მოხსნილი პროექტები

№	პროექტის შიფრი	კონკურსის მიზნებისთვის დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობა
1	GSDP-25-242	დარღვეულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 27 სექტემბრის №153/ნ ბრძანების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის 'ა' ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობა.
2	GSDP-25-889	დარღვეულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 27 სექტემბრის №153/ნ ბრძანების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის 'ა' ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობა.
3	GSDP-25-832	დარღვეულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 27 სექტემბრის №153/ნ ბრძანების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის 'ა' და 'ბ' ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირობები.
4	GSDP-25-1337	დარღვეულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 27 სექტემბრის №153/ნ ბრძანების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის 'ბ' ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობა.